

142207

26  
1866

Г Р У З И Н С К И Й

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

О К Т Я Б Р Ъ .

Г О Д Ъ Т Р Е Т И Й .

ს ა მ ა რ თ უ ბ ლ ო ს

ს ა ს უ ლ ი ე რ ო მ ა ს ა რ ე ბ ე ზ ი .

გ კ ტ ო მ ბ ე რ ი .

ჩ ე ღ ვ წ .

წ ე ლ ი წ ა დ ი მ ე ს ა მ ე .

Т И Ф Л И С Ъ .

ВЪ ТИПОГРАФИИ МЕЛИКОВА и К<sup>о</sup>.

ПОДПИСКА НА „ГРУЗИНСКІЙ  
ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ“

на 1866-67 годъ.

---

Журналь „Грузинскій Дух. Вѣстникъ“, издается съ 1-го іюля 1864 г., по утвержденной Св. Синодомъ программѣ. Мѣсячная книжка заключаетъ въ себѣ отъ 4-хъ до 5-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ „Русскими Прибавленіями“; а сіи послѣднія—не менѣе одного листа.

Подписная цѣна за годовое изданіе журнала: съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ „Прибавленіями“, на русск. яз.; безъ доставки же и пересылки 4 р.; „Прибавленія“ (для особо подписывающихся) въ Закавказскомъ краѣ 1 р., а внѣ его—1 р. 50 к. с. По сей же цѣнѣ можно получать остающіеся въ маломъ числѣ экземпляры журнала за прошедшіе годы.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, въ квартирѣ редактора, подъ горою св. Давида, и въ канцеляріи правленія тифлисской дух. семинаріи, на имя профессора семинаріи, священника *Г. Хелидзе*.

---

ეოველივე მოგვენიჭოს ჩუენ (რომ. თ. 8. მუხ. 32).  
ეოველი მოგვენიჭოს, ესე იგი, მოგვეცემა ცოდუ-  
თა და განახლება სულისა, სიმშვიდე და სიხარული,  
ცხოვრება და უკუდავება, დიდება და ნეტარება, საუ-  
კუნო და უმწუჭრვალესი ზიარება მისთანა და წმი-  
დისა სულისათანა. ამის-თჳსვე თუთ მაცხოვარი, მსუ-  
რველი განწყობად ჩუენდა ამა ცხოველს-მყოფელისა  
საიდუმლოდსადმი, იტყვის: იქმოდეთ ნუ საზრდელსა  
წარსაწყედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰკი-  
ღეს ცხოვრებად საუკუნოდ, რომელი ძემან კაცისამან  
მოგცეს თქუენ, რამეთუ ამას მამამან დაჰბეჭდა ღმე-  
რთმან (იოან. თ. 6. მუხ. 27.) და ესრეთ მივსწუ-  
დებით რა კერძოდ, შემწეობათა საღმრთოდსა განც-  
ხადებისათა და კელთ-მძღუანელებითა წმიდათა მამა-  
თასა, თუ რაოდენ საჭირო და საცხოვნებელ-არს  
ზიარეოფა საღმრთოთა ნიჭთა და სისხლსა ქრისტე-  
სთა, ჩუენ თანამდებ-ვართ, ვსთქუათ სიტყვითა წმი-  
დისა კასსიანესითა, ეოველსა ჟამსა განფენად მამისა  
მიმართ ზეცათასა ვედრებისა, რათა ღირს-კუყო-  
ფდეს ჩუენ, შეძლებისა-მებრ ხშირადვე, ღირსად ზია-

რებასა ამა უწმიდესთა ნიჭთა, და რათა მიღებითაცა და შთავგონებითაცა მათითა განამტკიცებდეს გულსა შინაგანისა კაცისა ჩუქნისასა.

III) ხორციელნი საჭიროებანი.

ხოლო რად შეეხების ჰურსა ნივთიერსა გინა ხორციელსა, მოწყალებითი ჩუქნითჲს მსრუნველობა მაცხოვრისა ძალისაჲმებრ ამა თხოვისა მოცემულისა მის მიერ ლოცვისასა შთავგონებს ჩუქნ განმორებად ნამეტნავისა ზრუნვისაგან ქუჭენიერთა კეთილთაჲთჲს და მოძღობებისაგან განცხროძისა, ხოლო ამითი გვახწავებს ჩუქნ, რათა ყოველნი სურვილნი ჩუქნნი შესახებელად ხორციელებრივისა სიცოცხლისა განვსა-ზღვროთ ერთითა მხოლოდ დღიურითა სასრდელითა. თანახმად მაცხოვრის მოძღურებისა ჯერ არს თხოვად არს უძეტეს, ვითარ არსობითისა ჰურისა, ესე იგი, მხოლოდ საჭიროდსა სასრდელისა და საჭიროდსა ცხოვრებისაჲთჲს სამოსელისა და საცხოვრებელისა (ინილ. ვრაც. კატეხ. გამოც. უწმი. სინოდისაჲმებრ, მეოთხისა თხოვისაჲთჲს საუფლო ლოცვისა), და უკეთუ ესე საჭირო მოგვეცემა ჩუქნ, მა-

შინ უნდა ვიუქნეთ კმაყოფილნი (ა ტიმ. თ. 6. მუხ. 8 ), და არაოდეს უოუად ხორცთა ზრახვისა გულისა თქმელ (რომ. თ. 8. მუხ. 14).

სწავლა მისთვის წმიდისა იოანე ოქროპირისა.

წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტებს რა აწმდგომისა თხოვასა საუფლოს ღოცვისა, იტყვის ესრეთ: „ვინაჲდგან იესო ქრისტე მოსცემდა სწავლასა თვისსა კაცთა, რომელნიცა შემოსილარიან ხორცითა, რომელნი ემსახურებიან სჯულსა ბუნებისასა და არა ძალუძსთ ქონად ანგელოსთ შესაბამისა, უვნებელობისა, ამისთვის თუძცა კიდევ ბრძანებს წინარესა თხოვასა შინა, რათა კაცნიცა აღასრულებდენ ქუჭყანასა ზედა ბრძანებათა მისთა, ეგრეთვე, ვითარცა აღასრულებენ ანგელოსნი ცათა შინა; გარნა აწმდომისა თხოვასა შინა იწენარებს უძლურებასა ჩუჭუნისა ბუნებისასა, ვითარცა ესრეთ მეტეჭული: მე ვითხოვ თქუჭუნგან სისრულესა ცხოვრებისასა ანგელოსთა სწორსა, გარნა არა უვნებელობასა; ამაღრომელ არ მიგიძვებს თქუჭუნ თვისება ბუნებისა თქუჭუნისა, რათა შეიქმნეთ უვნებელ, ვინაჲდგან ითხოვს

იგი საჭიროსა საზრდელსა. შენიძნე უკუწ, რომელ  
სახორციელოთაცა შინა საჭიროებათა იესო ქრისტე  
გვასწავებს ჩუწნ დაცუად არა მცირისა სულიერობისა;  
ვინაძღვან არ გვიბრძანა ვედრებად არცა ქონებისა-  
თუ, არცა სიტკბობებათათუ, არცა მრავალ-ფასთა  
სამოსელთათუ, არცა სხვსა-თუ მსგავსისა მისისა,  
არამედ მხოლოდ ზურისა-თუ, და ზურისა-თუ დღიუ-  
რისა, რათა ჩუწნ არა ვზრუნვიდეთ ხვალინდელისა  
დღისა-თუ; ამის-თუ სიტყუასა ზედა ზური დაჭრთო  
არსობისა, ესე იგი, დღიურისა. მასთანავე ამა სიტყ-  
ვითაცა კიდევ არ გაათავა, არამედ დაუმატა სხუაცა  
იგი: დღეს, რათა ჩუწნ არას გზით არ განუსვენე-  
ბელ ვჭეოფდეთ თავთა თუსთა ზრუნვათა შემდგომისა  
დღისათუ. ჭეშმარიტად, უკეთუ არ ვიცით, ვიცოც-  
ხლებთ ხვალინდელისა დღედმდინ თუ არა; მაშა რად  
უნდა ვზრუნვიდეთცა მისთუ? ამავე საგანსა იესო  
ქრისტე, სხუთაცა მრავალ-გუარითა სახითა განმარ-  
ტებს რა, საზოგადოდ გვამცნებს ჩუწნ მეტეუწლი:  
ნუ ზრუნავთ ხვალისათუ (მატთ. თ. 6. მუხ.  
34). მაშა სადამე მას ნებავს გვეოს ჩუწნ თავის-

უფალ ეოვლისაგან ქუჭენიერისა, რათა ჩუწნ ხორცი-  
ელსა ბუნებასა ჩუწნსა დაუთმოთ იმოდენი, რაოდენ-  
საცა განკიდური საჭიროება მოითხოვს“ (იხილ. საუ-  
ბარი 19. სახარე. ზედა მატყესა წმიდისა იოანე  
ოქროზირისასა).

ძალისამებრ ამჲ მეთხისა თხოვისა კუჭლად რადხათუხ ჯერად  
ვედრებად?

შესახებულად მეთხისა თხოვისა უნდა შევნიშ-  
ნოთ კვალად შემდგომი:

1.) ვითხოვთ რა ჩუწნთუხ მამისაგან ზეცათასა  
არსობითსა ზურსა, ჩუწნ უნდა გამოვითხოვოთ ეგრე-  
თვე წმიდაცა მისი კურთხევა ნაშრომთა ზედა ოფლითა  
ზირისა ჩუწნისათა, რომელთა-მიერ თუთვე მან კვა-  
მცნო მოჩეწა არსობითისა ზურისა (შექ. თ. 3.  
მუხ. 9 ).

2.) შემდგომ მიღებისა მხოლოდსაგან მოძვე-  
მელისა კეთილთასა ეოვლისა საჭიროდსა აწმდგომი-  
სა ცხოვრებისა-თუხ, ჩუწნ მოვალენი ვართ ვევედრ-  
ნეთ მას მისთუსაცა, რათამცა მან არ დაგვიტეოს  
თანა-შეწევნად ჩუწნდა თუსითა მადლითა საცხოვნე-

ბელსაცა შინა მოხმარებასა მიღებულისასა, ესე იგი, მოხმარებასა შინა თანახმად წმიდისა მისისა ნებისა, სადიდებულად ეოვლად-წმიდისა სახელისა მისისა, და სასარგებლოდ მოუჭასთა.

3) უკეთუ ზოგჯერ თუთ ღმერთი, გამოუკვლეველთა მსჯავრთაძებრ თუთა, გარდამოკვილენს ჩუწნ უმეტეს მისა, რადცა საჭირო არს დასაცვლელად სიცოცხლისა ჩუწნისა: მაშინ ესრეთსა შემთხვევასა შინა ჩუწნ თანამდებ ვართ ვმადლობდეთ მას, ხოლო უკეთუ არ მოგვცემს საჭიროზედ მოძებრულსა; მაშინ ჩუწნ არ უნდა ვზრუნვიდეთ მისთჳს (ინილ. ვრც. კატეხ. გამოც. უწმ. სიოდისა-ძიერ მეოთხისა თხოვისა-თჳს).

4). თუძცა აწ-მდგომსა თხოვასა შინა ერთითა სიტყვითა: ჰური, გვეძცნების ჩუწნ ვითხოვოთ ღმერთისაგან სულიერნიცა და ხორციელნიცა კეთილნი, გარნა ჰირჩუწლნი ჩუწნ უნდა გვსურდნენ და ვითხოვოთ ლოცვასა შინა სრულიად უპირობოდ, ესე იგი, ეოველსა შინა შემთხვევასა და ეოველსა შინა მდგომარეობასა ჩუწნსა: ამისთჳს რომელ თუთ ღმე-



რომან, რომელსა ნებაჲს, რათამცა ეოველნი კაცნი  
სცხონდენ (ა ტიმ. თ. 2. მუხ. 4.), უპირობოდ აღ-  
გვითქუა გარდამოვლინება მათი მთხოველთადმი;  
თუთ კეთილნიცა ესე არიან ისრეთისა თჳსებისანი,  
რომელ სასარგებლო და საჭირო არიან აწმდგომსა-  
ცა ცხოვრებისა-თჳს და მოსაპოვებელადცა საუკუნოდ-  
სა ცხოვრებისა. ხოლო უკანასკნელნი, ანუ ქუჭენი-  
ერნი კეთილნი „ჩუჭნ უნდა ვითხოვოთ არა სხუა-  
გუარ, თუ არ უწუებულთა პირობებთა.

პირობანი ლოცუასა შინა ქუჭენიერთა კეთილთა-თჳს.

თხოვასა შინა ღუთისაგან ქუჭენიერთა კეთილ-  
თა ჩუჭნ უნდა დავიცუათ შემდგომნი პირობანი:

1.) უნდა ვითხოვოთ ესე კეთილნი ისე, რომ  
იგინი არ აბრკოლებდნენ ცხოვნებასა სულისა ჩუჭ-  
ნისასა; რამეთუ რა სარგებლობა არს კაცისა, უკმ-  
თუ შეიძინოს სოფელი ესე ეოველი, და სული თჳ-  
სი იხდვიოს (მარკო. თ. 8. მუხ. 36). ამა მიზე-  
ზისა-გამო ჩუჭნ არ უნდა ვითხოვოთ ღუთისაგან  
ღრობითი თჳნიერ მიმართვისა საუკუნოდსადმი.

2.) ჟამსა ლოცვისასა ქუჭენიერთა კეთილთა-

თუ ჩუწნ თანამდებ-ვართ აღსრულება თხოვთა  
ჩუწნთა მიუანდოთ მარადის ნებასა ღუთისასა, იმა  
ჯასრითა, რომელ ღმერთმან ჩუწნზედ უძობესად  
უწყის არა მხოლოდ ისა, რომ სასარგებლო არიან  
ჩუწნთუხ კეთილნი იგი, რომელთა-თუხ ჩუწნ ვეკედ-  
რებით, თუ არა, არამედ ისიცა თუ, ვითარ და  
ოდეს უძობეს-არს რომ მოგვცეს ჩუწნ ივინი;  
და რომელ ღმერთი გარდა მისა შემძლებელ-არს უფ-  
როს ყოვლისა ყოფად უმეტეს, რომელსა იგი ვით-  
ხოვოთ, გინა თუ ვსცნობთ, ძალისა მისებრ შეწევნასა  
ჩუწნ შორის (ეფეს. თ. 3. მუხ. 20). (განსაზღუქრე-  
ბა, თუ რად არიან სულიერნი, და რად არიან ქუწ-  
ენიერნი კეთილნი ჩვენებულ-არს ზემოთ მუხლსა  
შინა მოწოდებისათუხ საუფლოს ღოცვისა).

---

## თავი მერვე.

მხუთისა თხოვისათჳს:

„და მოძიებენ ჩუენ თანანადები ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევეთ თანამდებთა მათ ჩუენთა“.

შესწორება ტექსტისა, ანუ ნამდვილ სიტუა-  
ბისა, ამა თხოვისა ორთა მახარებელთა-თანა.

რათა ნამდვილად გულის-ხმა-უჭეოთ, თუ რასა  
ნიშნავს აწ-მდგომისა თხოვისა შინა სიტუა-  
ციანი; ამის-თჳს, რადგანაც ლოცუა უფლისა გარდა-  
მოცემულ-არს ორთა მახარებელთა მიერ, უნდა შემოწ-  
მდეს თუ ვითარ გამოხატულ-არს ესე თხოვა წმი-  
დასა სახარებასა შინა მატეხსა, და ვითარ წმიდასა  
შინა სახარებასა ლუკასსა. მახარებელი მატეხ იტ-  
ყვის: „მოძიებენ ჩუენ თანანადები ჩუენნი“ (მატ.  
თ. 6. მუხ. 12); ხოლო მახარებელი ლუკა: „მოძიე-

ვენ ჩუწნ ცოდუანი ჩუწნნი“ (ლუკა. თ. 11. მუხ. 4. ). სიტუუანი თანანადებნი და ცოდუა, ერთი მეორეს განმარტებენ. თანანადები არს ესრეთი ვალდებულება, რომლისა აღუსრულებლობა წინააღმდეგისა სჯულისა, და ამისთვის შეადგენს ცოდუასა. ხოლო წინააღმდეგ ცოდუა არს დარღვევა მისი, რადსა აღსრულებისათვის სძევს კაცსა ზედა სჯულიერი მოვალეობა, ანუ სხუწბრ: ცოდუა არს აღსრულებლობა სჯულიერისა მოვალეობისა. და ესრეთ სახელითა თანანადებთათა იკულისხმებიან ცოდუანი ჩუწნნი, რომელთა მიერ ჩუწნა ვართ მოვალენი წინაჲე მამისა ზეცათასა.

რომლისა ჭარბით ვიწოდებით ჩუწნ მოვალეობად წინაჲე ღუთისა?

ჩუწნ უოველნი ვართ გამოუთქმელად მოვალენი ზეცათა მამისანი; რამეთუ მისგან მივიღებთ მეოფობასა და სიცოცხლესა, ძალთა ხორციელთა და ნიჭთა სულიერთა, საზრდელსა და სამოსელსა, განმარტლებასა და ცხოვნებასა, აღთქმასა საუკუნოდსა დიდებისა და ნეტარებისასა. მასთანავე, რადგანაც მივიღებთ უოველსა ამას თუნიერ უოველთა ნამსახუ-

რებათა ჩუწნის მხრით; მისთვის არცა შეგვიძლიან  
რომ ღირსად გარდაუხადოთ ყოველი მოძვედელსა  
კეთილთასა. უსასღურო კაცთ-მოუჭარება მაძისა სე-  
ცათასა არცა ითხოვს ჩუწნ უძლურთა ქმნულებათა-  
გან მისთა ესრეთსა გარდახდასა; გარნა მრავლისა-  
თვის, გარდამოვლენილისა სასარგებლოდ ჩუწნდა ყო-  
ვლად-უხვისა მარჯუწნისაგან მისისა, იგი ითხოვს  
ჩუწნგან მხოლოდ მცირესა, აურაცხელთა და გამო-  
უთქმელთა ნიჭთათვის თვისთა, იგი დასდებს ჩუწნ სე-  
და უღელსა ტკბილსა და ტვრისა სუბუქსა (მატთ.  
თ. 11. მუხ. 30.), რომელიცა მდგომარეობს აღსრუ-  
ლებასა შინა წმიდისა ნებისა მისისა, რომელიცა  
განცხადებულ-არს საღმრთოსა სჯულსა შინა, — რაჲცა  
შეადგენს მხოლოსა მოვალეობასა ჩუწნსა წინაშე  
უფლისა ჩუწნისა, ვითარცა მოვალეობა არს თვთ  
საღმრთო. და რადგანაც არ შეგვიძლიან ღირსად  
მადლობის მიცემა კეთილის-ყოფელისადმი ჩუწნისა  
ღუთისა ყოვლისავე-თვის, რაჲცა მოგვეცემის ჩუწნ  
მის მიერ; მისთვის ყოვლითა კულს-მოდგინებითა  
და სამხადისათა, მოვალენი ვართ დავემორჩილებით

მანცა ეოველსა შინა წმიდასა ნებასა მისსა და სჯუ-  
ლსა. ხოლო უკეთუ ამასცა არა აღვასრულებთ, მა-  
შინ დაუშობით მოვალებად წინაშე მისისა მართლ-  
მსაჯულებისა (ინილ. ვრც. ქრისტ. კატეხიზმო  
გამოცემ. უწმ. სინოდისა მიერ, მეხუთისა თხოვისა  
თვს.), ანუ სხუწბრ: დაუშობით ბრალეულებად გინა  
ცოდვილებად წინაშე მისა.

თხოვა მოტევებისათვის ცოდუათა არს საჭირო გუთვნილება ეო-  
ვლისა ლოცვისა.

ვინააღგან სწეობითი სიწამხდრე კაცისა ესო-  
დენ დიდ არს, რომელ ეოველსა სიურმიდგან აქუს  
განსრახუა ბოროტსა ზედა, და რომელ თითქმის  
მართალი შვიდგვის დღესა შინა შესცოდებს: ამისა-  
თვის სჩანს, რაოდენ საჭირო არს კაცისათვის ეოველ-  
დღე ვედრებად მიტევებისათვის ცოდუათა მისთა, გი-  
ნა თვთეულისა ლოცვისა შეწირვის დროსა მოხსე-  
ნება ცოდუათაცა თვსთა! აჴა მიზეზი თუ რაჲსათვის  
საუფლოსა ლოცუასა შინა, რომელიცა უწარჩინებუ-  
ლეს არს ეოველთა ლოცუათა ზედა, ანუ უძჯობესად  
ვსთქუათ, რომელიცა არს სახე ეოველისა ქრისტია-

ნობრივისა ლოცვისა, შორის სხუათა თხოვათა და-  
დებულ-არს ესეცა: „მოძიებენ ჩუენ ცოდუანი ჩუენ-  
ნი. ნამდვილად, რომელს კაცს შეუძლიან ლოცუა-  
თანიერ ამა დაღბუოფისა ღუთისა მიძარტ? ეს  
შეუძლო ექმნა ერთსა მხოლოდ უცოდველსა ღმერთ-  
კაცსა იესო ქრისტესა.

ლოცუა მოტეკებისათჳს ცოდუათა უნდა დაფუძნებულ იყოს  
სახეობასა ზედა ნამსახურებათასა იესო ქრისტესა.

ცოდუათა-თჳს, რომელთა ვიქით წინაშე ღუთი-  
სა, ჩუენ თჳთ თავით თჳსით არა ვითარად და არა  
რადთ არ შეგვიძლიან არცა დაკმაყოფილება ძარტლ-  
მსაჯულობისა ღუთისა, არცა გარდახდა ამა ვაღთა  
თჳსთა (მატთ. თ. 18. მუხ. 25.); არ შეუძლიანთ  
სხუათაცა კაცთა, თჳთ თავით თჳსით, მოკვაშორონ  
ჩუენ ეს ვაღნი (ფსალ. 78. მუხ. 8. 9.). ხოლო  
რადსათჳს? ამისთჳს რომელ ყოველნი კაცნი ფრიად  
კლახაკ არიან სულიერითა ძალითა, ყოველნი უძ-  
ლურ არიან (რომ. თ. 5. მუხ. 6.); თითქმის მეო-  
რედ-მოზილნიცა ძადლითა ღუთისათა ვერა-რასა  
ჭაოვებდენ თჳსსა ბუნებასა შინა, თანიერ უძლურე-

ბათა (ბ. კორ. თ. 12. მუხ. 5.). კარნა უოველი  
სასოება ჩუწნი (ა. ტიმ. თ. 1. მუხ. 1.), შესახებ  
კანწმედისა ცოდუათავან თვსთა, დამტკიცდების მხო-  
ლოდ მსახურებათა ზედა ღმერთ-კაცისა და მაცხოვ-  
რისა ჩუწნისა (ებრ. თ. 1. მუხ. 3). რამეთუ, სიტ-  
ყუათა მეზრ მოციქულისათა, ერთჲს ღმერთი და  
ერთჲს შუამდგომელი ღუთისა და კაცთა, კაცი  
იესო ქრისტე, რომელმან მისცა თავი თვისი სახს-  
რად უოველთა (ა. ტიმ. თ. 2. მუხ. 5.). ამისთვის  
თვთოველი ლოცუა, რომელიცა აღიმაღლების ჩუწნი  
მიერ მამისადმი ზეცათასა მოტევიებისათვის ცოდუათა  
ჩუწნთა, უთუოდ უნდა შეერთებულ-იქმნას ღრმისა  
გრძნობისათანა საკუთარისა უძლეულებისა და კლასა-  
კობისა სულითა, და მტკიცითა სასოებითა მსახურე-  
ბათა ზედა და შუამდგომელობასა მხოლოდ შობი-  
ლისა მისა ღუთისათა, ამაღლებულცა სახელითა  
მისითა, თვთ მისივე მოძღურებისა-მებრ (იოან.  
თ. 14. მუხ. 13.).

ჰიწობა ლოცვისა ცოდუათათვის.

იესო ქრისტემ, რომელმან მოკვცა ჩუწნი სახე ლოც-



ვისა, გვამცნო გამოთხოვა ღმერთისაგან მოტევებისა  
თვსთა ცოდუათასა მხოლოდ იმა ზირობითა, რათა  
თვთ ჩუწნცა მიუტევებდეთ თანამდებთა ჩუწნთა. ხო-  
ლო თანამდებნი ჩუწნნი არიან ის კაცნი, რომელ-  
თა არა მოგვცეს ჩუწნ თანანადებნი, ანუ ისა, რაც  
უნდა მოეცათ ჰსჯულისამებრ ღმერთისა, ვითარ მავა-  
ლითად, არ გვაჩვენეს სიყვარული, არამედ სიმული-  
ლი, (იხილ. ვრცელი კატეხ. მესუთე თხოვანედ).  
ყოველთა ამ გუანთა ჩუწნ ქრისტიანობრივისა მოვა-  
ლუობისამებრ, არა ხოლო არ უნდა მივაგებდეთ  
ბოროტსა ბოროტისა წილ, არამედ სულგრძელო-  
ბით და ზირუთნებელად უნდა მიუტევებდეთ, ანუ უფ-  
რორე მივაგებდეთ სიმულილისა წილ სიყვარულსა,  
და ესრეთითა სახითა ვჰსძლევდეთ ბოროტსა კეთი-  
ლითა (რომ. თ. 12. მუხ. 17, 21.). მასთანავე თვთ  
ქრისტიანობრივის ღოცვის თვსება ითხოვს, რათა  
იგი გამომაულობდეს გულისაგან, სრულებით უსაკ-  
ველისა და დაგებულისა ყოველთათანა (მატთ. თ.  
5. მუხ. 23, 24.); რათა ესრეთი მდგომარეობა  
მლოცველის გულისა იყოს მისის მხრით ნიძად,

რომელ იგი არს ჭეშმარიტი მოწმუნე, და განათ-  
ლებული ნათლითა ქრისტიანობისათა; ვინაჲდგან  
ესრეთსა მხოლოდ ქრისტეანესა შვენის ლოცუა,  
გარდამოცემული იესო ქრისტეს-მიერ, ვითარცა  
თუთ დასაწყისი მისი გვაჩვენებს; ვინაჲდგან განუ-  
ნათლებელსა არ შეუძლიან უწოდოს ღმერთსა მამად  
თვსად (იხილ. საუბარნი მეცხრამეტე სახარ. ზედა  
მატთ. წმიდისა იოანე ოქროპირისა). ვიდრემდის  
მლოცველი დაშთება დაუკებელად მოყუასთათანა  
თვსთა, იქამომდე არ შეიძლება მიუხელოვდნენ მას  
სახიერება და მოწყალება ღმერთისა, იქამომდე არ  
შეიძლება გულვებაცა ჭეშმარიტისა ზიარებისა მისისა  
ღმერთებისათანა (ბ. კორ. თ. 6. მუხ. 14). ხოლო  
უკეთუ მოძულე აღმოსჩნდება არ განმსადებულად  
დაგებისადმი, ანუ არ შეიძლება ჩქარა ზოვნა მისი  
იმა განზრახვითა, რათა შეურიკდეთ მას; მაშინ საკ-  
მაოა შერიგება მისთანა გულსა შინა თვსსა წინაშე  
თვალთა უოველისა-მხედველისა (იხილ. ვრც. კატე-  
ხისმო, გამოც. უწმი. სინოდისა მიერ, მეხუთე თხო-  
ვაზედ). ვინაჲდგან, იტყვის მოციქული ჰავლე, უკმ-

კატეხიზური საუბარი სიუჟარული სათვს ღუთი-  
სა და მოუჟასთა.

„ შეიყვარო მოუჟასი შენი, ვითარცა თავი თვისი“  
(მარკ. 12, 31).

რწი უმაღლესნი თანამდებობანი შეადგენს საღმრთოსა და  
უპყველს კალდეულებსა ყოვლისა კაცისასა, რომელსაც სურს  
დაძვარება გონებისა ჭეშმარიტებასა ზედა და მოპოება საუკუნოდსა  
ცხოვრებისა. პირველსა თანამდებობასა შეადგენს სიუჟარული ღუთი-  
სა, და მეორესა — სიუჟარული მოუჟასთა. ეს უკანასკნელი, ესე იგი  
სიუჟარული მოუჟასთა, არის საგნად ჩუქნისა საუბარისა თქუქნათანა,  
კეთილ-მსახურთა მსმენელთა. განვიხილოთ ჩუქნ ესლ: ვინ იწო-  
დებიან ჩუქნ მოუჟასად, რომელთაცა ძალითა ამს მცნებისათა თანამ-  
დებ ვართ ყოველნი ქრისტიანენი პატრიარქემად და შეყვარებად?

მოუჟასად იწოდების ყოველი კაცთა ნათესავი; ყოველი ქუქ-  
უნაზედ მცხოვრები ადამიანი: მოუჟასად იწოდებიან ჩუქნნი მშო-  
ბელნი, ძმანი, ამხანაგნი, მეგობარნი, და სხუანიცა ყოველნი მალა-  
ლნი და მდაბალნი, მდიდარნი და გლახაკნი, მოუჟარენი და მოძუ-  
ლენი, კეთილნი და ბოროტნი, მოწმუნენი და უწმუნონი. ჩუქნ  
ყოველნი ქრისტიანენი თანამდებ-ვართ, მსგავსად მაცხოვრისა ჩუქნ-  
ნისა იესო ქრისტესა, რათა მათ ყოველთა განურჩევლად გამოუ-  
ცხადებდეთ ჩუქნსა გულითადსა სიუჟარულსა.

სოფელ სიუჭარული მოყუასთა მდგომარეობს მას შინა, ოდესაც ჩუქნი ყოველსა უამსა ვიხურებთ და მოვიქმედებთ იმ გუარსსა კეთილ საქმესა მოყუასინათს, ვითარსაცა ვიხურებთ ჩუქნის თავისათს, და ვიგძნობთ მისსა ბედნიერებასა და სინარულსა, უბედურებასა და სიმწუხარებასა, ვითარცა თვსსა საკუთრებასა, მომეტებულად ოდესაც ვზრუნავთ მისის საუკუნოს ცხოვრებისათს.

ამ გუარსი სიუჭარული მოყუასინა არის უეტკელი მოკალეობა ჩუქნი, ამისთს რომელ, სიტყვისაჲმც მოციქულისა, „ვართ შექმნილნი ერთისაგან სისხლისა ყოველნი ნათესავნი კაცთანი, დამკვიდრებად ყოველსა ზედა პირსა ქუჩუანისსა“ (საქმ. მოც. 17, 26). ამისთს რომელ ვართ ყოველნი შექმნილნი მსგავსად უფლისა, ძმანი ერთმანეთისანი და შეკადგენთ ყოველნი ერთად იმ გუარსსა საზოგადოებასა, რომელთაცა ღუთისაგან გუაქუხ დანიშნული ერთი საუკუნო ნეტარება. დასასრულ ამისათს რომელ განსაკუთრებით სათუძუკელსა მოყუასთა სიუჭარულისასა, ცხადათ ვკახვენებს უმაღლესნი მოქმედებანი უფლისა ჩუქნისა იესო ქრისტესნი. მან სიუჭარულისაგამც ყოველისა კაცთა ნათესავისა დაითმინა საშინელი მწუხარება და ტანჯვა და მით დაგვიმკვიდრა ჩუქნი სასუთუკელი ცათა. თუძცა სიუჭარული მისი არის განუსაზღვრებელი, და სუსტი გონება ჩუქნი ვერ შესწავლება მისაბაძუკელად იმ გუარსსა საუკუნოსა სიუჭარულსა, რომელითაც ღმერთმან შეგვიუვარა და მიგვიანლავს თავისთანა, გარნა იგი თვსითა მოქმედებითა ვკამსილებს ჩუქნი, თუ ვითარ ვერარს სიუჭარული მოყუასთა.

სოფელ იგი განსაკუთრებით მართხლვს ჩუქნისაგნით იმ გუარსსა სიუჭარულსა, რომელიცა შესაძლო არის ჩუქნის სუსტი აგებულებისაგან. მაგ. იგი ზეციერი მსხელი და ღუთაებრივი მოძღუარნი, მართხლვს ჩუქნისგნით დაუცხრომელად მას, რათა ყოველის ღონისაძიებით ვმეტადინგობდეთ ჩუქნის ძმის ცხოვრებისათს, რათა უძვირფასესი სისხლი მისი, დათხეული მისგან ყოველთათს, არ დაშთეს არა ვისთს უნაყოფოდ. „საუკარელთა უკეთუ ღმერთ-

მან ესრეთ შემიუკარნა, ჩუწნცა თანა გვამს ურთიერთარს სიუწარუ-  
ლი“ (იოან. 4, 11). მასხადამე განუმორებელი ზრუნვა მოუწას-  
თა სიუწარულისათჳს, დაფუძნებული მოქმედებისა ზედა ღუთისასა,  
არის პირველი ვალდებულება ჩუწნი. ხოლო უკეთუ წინაღუდგებით  
ამა ღუთისა მცნებასა, მაშინ განკუთრებით ღუთისა სიუწარულსაცა.  
ვინაჲდგან იგი მტკიცედ არის შეკავშირებული ღუთისა სიუწარულისა-  
თანა; რომელსა ჭეშმარიტად და გულის წმიდით უყვარს უფალი  
ღმერთი თჳსი, მას უჭკველად უყუარს მოუწასიცა თჳსი. ჭეშმარი-  
ტი სიუწარული ღუთისა წარმოადგანს გულიწმიდით სიუწარულსა  
მოუწასთანაც; წინაღუდგე მკისა არა შესაძლას ჭეშმარიტიცა სიუ-  
წარული ღმერთთანა, „რომელსა უყუარდეს ღმერთი უყუარდეს  
ძმაცა თჳსი“ (იოან. 4, 21). ვინაჲდგან უოკელსა, რომე-  
ლსა არა უყუარს მოუწასი, იგი არის უღმერთო, მასხადა  
მე არცა აქუხ მას ცხოვრება ჭეშმარიტი, ამისათჳს რომელ ღმერ-  
თი არს წყარო საუკუნო ცხოვრებისა უოკელთა კაცთათჳს. „რომე-  
ლი ეგოს სიუწარულსა ზედა, ღმერთი მისთანა ჰგოს, და იგი  
ღუთისთანა,“ მოგუითხრობს მოციქული და ღუთის მეტყველი  
იოანე (თ. 4, მ. 16).

ვითარს თჳსება აქუხ მოუწასთა სიუწარულსა? სიუწარული  
მოუწასთა ნიშნავს არა მას, ოდესაც წარმოსთქუამთ მარტო ენითა,  
რომელ გვიყუარს იგი, ხოლო გულთა ვგძნობთ რა მასთან-  
სიძულილსა, და თჳთ საქმიითაცა მოვიქმედებთ მისთჳს ბოროტსა;  
არამედ ნიშნავს მას, რომელ ვითარცა ვუბნობთ ენითა და ვგძნობ-  
თ გულითა, ეგრეცა მოვიქმედებთ საქმიითა, ნუ ვიყვარებით სიტყ-  
ვითა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმიითა და ჭეშმარიტებითა  
(იოან. 3, 18).

ის სიუწარული მოუწასთა არ არის ჭეშმარიტი, ოდესაც განუ-  
ცხადებთ მათ მოწყალებასა და გულითადსა სიუწარულსა მხოლოდ  
მაშინ, ოდესაც იგი გვასიამოვნებს რამეს, ანუ თჳთ ჩუწნ მოკუ-  
ლით მისგან რამე წყალობის მიღებასა; არამედ ჭეშმარიტსა

სიუჟარულსა მასთანა შეადგენს იხ, ოდესაც სურვილით და კეთილ-  
ჭრბლულებით მიგვაჩნია მოუჟასი ჩუწნი მამინ, ოდეს იგი არცკო  
არის ჰატვიის-მცემელი ჩუწნი, და არამც თუ ჩუწნი მისგან მოკულით  
არამე წყალობასა, არამედ თუთ ვხედავთ ვიდრე, რომ იგი ჩუწნი-  
გნით მოკლის შემწეობასა და წყალობასა. მოუჟასთა სიუჟარული  
არც მას ნიშნავს, რომელ უოკელი თანამდებობა შესახებ მოუჟასთა  
აღასრულას ჰატვიის მოუჟარულობისა-გამო, ანუ მიხგამო, რომ  
მისთვის მიიღებს უმაღლესსა ჯილდოსა, გარნა მის გამო, რომელ  
უოკელი აღასრულას ერთისა სიუჟარულინა-გამო ღუთისა. ვინა-  
გან ჭემდარიტი სიუჟარული მოუჟასთა ერთისა მხლელად წყარო-  
საგან უნდა წარმოდინარებდეს, სახელდობ, ერთისა სიუჟარული-  
საგან ღუთისადმი. ესრეთ, ხედავთ ესლა, საუჟარულნო ძმანო, რა  
არის ჭემდარიტი სიუჟარული მოუჟასთა, ან რას ნიშნავს საკუთ-  
რებით სიუჟარული მოუჟასისა, სიუჟარული მისი ვითარცა თავისა  
თახისა. გარნა გვიუჟარან მოუჟასნი ჩუწნი, ვითარცა ჭემდარის  
ქრისტეიანებსა? მე არ შეკალ სხუათა საქმეთა განხილვაში, მხლელად  
ვიტყუვით მას, რომელ არამ თუ გვიუჟარან მოუჟასნი ჩუწნი ჯერო-  
ვანითა სიუჟარულითა, არამედ გუჟაქუბ ჩუწნი დიდი სიძულილი  
ეროდანეთს შორის. თქუწნი უოკელნი დამეთანხმებით, მხმენელნო  
ამაზედ, რომ ეს არის დიდი ნაკლულებანება ჩუწნი საკუთრებით,  
და თანამდებნი ვართ უეჭველად რომლისამე ღონისძიებით შევიძი-  
ნოთ ურთიერთისა სიუჟარული. გარნა შესაძინებლად ამა უმაღლე-  
სისა თანამდებობისა ჩუწნს ცხოვრებაში ვერას დროს ვერ ვიპოვით  
საშუალობასა. მხლელად მას შევიძინებთ ღუთისა შეწევნითა, ოდეს  
მსურვალე ღოცვითა, სარწმუნოებით და სასოებითა შეკუკუდრებით  
უოკელსა კეთილის მომცემსა და შუამავალსა ჩუწნსა იესო ქრისტე-  
სა, რომელი თუთ არს წყარო ჭემდარიტისა სიუჟარულისა და  
მოწყალებისა. ამინ.

მისაილ დაზარეკი.

რაოდენიმე სიტუაცია საქართველოს სამღვდელ-  
ლოების მდგომარეობაზედ.

(შემდეგი.)

გარდა ამისა მღვდლის სასლში, იქნება, შეიმთხვას ძველი  
სწეულება. უნდა მოუწოდოს მკურნალსა ქალაქიდან. სულ-ცარიელს  
სომ კერ გაისტუმრებს; ჩაადეთ, რომ მკურნალზე და სამკურნალო  
წამალზედ გმარა წელიწადში 12 რუბლი.

მღვდელს უნდა უთუოდ ჰქვანდეს ერთი ცხენი მაინცა, თუ  
ორი არა. ამის სასყიდლად და შენახვისათვის დაუნიშნეთ მას წელი-  
წადში 50 რუბლი მაინცა.

გამოვა საერთო ჯამში, რომ მღვდელს სულ-ცოტა, სულ-ცოტა  
წელიწადში ძლივს ჰყოფნობს 547 რუბ. და თუ მღვდელს სას-  
ლში ჰყავს უძღური, ან მოხუცი, მამა, ქმრივი დედა, წერილი ძმები,  
გასათხოვარი დები, და სხვანი თავშესაფარის უქონელნი ნათესავნი,  
მაშინ წლის ხარჯი აღემატება უკუტ შედარე გამოუჩანილს ჯამზედ.

აბა ახლა შევამზავსოთ ეს ყოველ-გუნარად შემოკლებული და  
შემცირებული ხარჯი შემოსავალსა და ვნახოთ რა გამოვა. გამოვა, რომ  
მღვდელს უნდა შემოუვიდეს 236 რუბლი და სულ ბევრი 300 რ.  
ხარჯი კი რაც უნდა დაზოგოს, რაც უნდა დაიკლოს კერა და კერ  
ჰყოფნობს ნაკლებ 547 რ. მაშა სადამე იმის წლის შემოსავალზე  
გადანამეტი ხარჯისა არის 247—311 რუბლამდენ.

ჩუტუნ ვამბობთ, რომ მღვდელს წელიწადში უნდა შემოუვიდეს  
236 დამ 300 რუბლამდინ. მაგრამ ან ეს კი შემოსდის სრულე-  
ბით? ღმერთმან ინებოს, რომ სამი წილი შემოუვიდეს სწორეთ.

ყოველს მრევლს აქვსაა ღონისძიება, რომ სრულიად გარდაიხადოს  
რაც მისგან გამოსადგობია სასარგებლოდ მღუდლისა; ეველს მოუვა  
მუდამ წელიწადს კარგი მოსავალი? არავის მოუხდებაა ზომასზე  
ძომატებული სარჯი? არავის შესუდებაა ავთამყოფობა, ვალის  
გარდახდა და სხუა მზგაკისი ამისი? ყოველი ესე, შესაძლოა, მოუხ-  
დეს კაცსა და ყოველი ესე პატრიარქადები მიზეზია მღუდლის მისა-  
ცემის დაკლებისა.

ამ გუარ მდგომარეობაში მყოფი მღუდელი, დადგენილი მიუ-  
ცილებლობაში, რომ როგორმე დაჭყაროს ანუ შეასრულოს შემოსა-  
ვალზედ გადაჭარბებული წლის სარჯი, ურომლისათაც არ შეეძლო  
ცოლ-შვილით გაძლება, სით მიიქცევს, ანუ რასა იქმს? რა საკვირვე-  
ლია უნდა ივასხოს. მარამ ვინ ავასხებს უქონელსა და თუ ავასხებს,  
უთუოდ ესრეთის დიდის აღნადგინებით, ანუ სარგებლით, რომე-  
ლიცა წინჰქილის ქუად დაეკვიდრება მას კისერზედ. მაშა სადამე  
მღუდელმან — გლასკმან უნდა მიმართოს იმავე მძიმე შრომასა, რომე-  
ლიცა ზრდის სამწესოსა მისსა — მიწის მოქმედებასა. მარამ აქაც კი-  
დეკ არ ესხნება მას სიძნელე — საჭიროა მისთვის მუშა ხარი, მარამ  
არა ჭყავს ესე; მაშ მანაც კიდეკ ვერ სერხდება უხესხოდ. უნდა თუ  
არა, თავი უნდა გაეოს მასეში. აიღებს ვალად ფულსა, ჭმართავს  
გუთნეულსა, იჭერს მოჯამაგირეებსა (\*) საქონლის მოსავლელად და  
შეუდგება საქმესა. მართელი დღე, დილიდამ მზის ჩასვლამდენ იწუ-  
რავს ოფელსა, დაალტობს მით დედა-მიწასა და ღონე მოკლებული  
იგი და თითქმის სახეკარ მკუდარი, ბინდისას მოდის მუშაკობითგან  
სახლში; შიმშილსა თვხსა აკმაყოფილებს სმელითა პურითა და ძვი-  
რად სადმე წუნისანის ქათმითა, ანუ ლობიოთი და ეშურება ძილსა,  
რათა, როდენსამე უამსა მანაც, მისცეს თავსა განსუზუნება და განა-  
ძლიეროს განკათეულება ძალისა თვხისა ახლისა, სასუალიო მუშაკო-

---

(\*) ამათი ჯამაგირი ახალი ხარჯი 100 რუბლამდე მაინცა.



ბიხათს. და სად ჭოკებს განსჭნებსა ამას? ზაფხულით ცახ ქუჭ-  
შე კალისკედ, ბაღში ან ეკლესიის გალავანში; სოლო ზამთარს  
სოროს მსგავსს სახლში, სადაც არა აქვს არც მებელი, არც ფან-  
ჯრები; არა აქვს არც პოლი ანუ იატაკი, რომლისადაც სანაცულოდ  
არის ნოტიო დედამიწა, სადაც წუხანს ზედაღორდათ ყოველნი  
წევრნი სახლისა მისისანი.

უ. იოსელიანს არ უნახავს სოროს მსგავსნი ესე სადგურნი  
მღუდელთანი; არ გამოუცდია ეს სიძნელე და მძიმე მუშაკობა.  
იქმნება უნახავს უბედურნი მშრომელნი ქალაქში ახლითა ანათორი-  
თა; მაგრამ არ გადაუწყვია ვი კალთები მისი, რომ ენახა ანათორი-  
სგან დაფარული ბებკულებს და ნაგლეჯები, რომელი ჭმოსია მოუ-  
ძღურებულსა მძიმისა მუშაკობისაგან ტანსა მათსა; არ დაუხედავს  
მათთვის სკლებზედ, რომ ენახა ის სქელი, გასკეპული, დასეთქილი,  
კოყოყებით სავსე კანი, რომელიცა გარე მოიცავს ამას ხელთა,  
მრთელის სახლობის გამომხრდელთა. უ. იოსელიანს საეკლესიო  
საზინის წყალობით უზრუნავად აქვს შუჭნიერი სადგომი, მოსამ-  
სახურე, კარგი სადილ — ვახშამი, სავსე მადღრითა და შემრგომთა  
სახოვავითა, ტანთ-საცმელი და ფეხთ-საცმელი; სურვილისა-ძებრ  
თხისა განისჭნებს, განაქარებს დროს სადაც და როგორც ესია-  
მოგონება; წვიმს თუ თოვლს, მისთვის სულ დარია; და ამისა-გამო,  
რას რომ არა ჭქონია ნამდვილი ცნობა მღუდლის ღარიბად ცხოვ-  
რებისათვის, ძალიან გულ-გრილად იძახის სემინარიის შუჭნიერის  
მალაღის ბაღკონებითგან, რომ მღუდლებს შეუძლიანთ გახსნას სა-  
სოფლო შოკლებისა და შენახვა მოხწავლეთა თხისთა საფასითაო;  
მარამ არა ჭხურსთ ამის ქმნა, რადგან ქრთამს მოელთანო და აქვე  
ღაღადებს: „ჩა გაუძამდრობავ! იგინი (მღუდელნი) მამონის თაყუა-  
ნის მცემელნი არიანო“.

უწინარეს, ვიდრე ვკითხავდეთ უ. იოსელიანს თუ რა არის  
ქრთამი და დავაფასებდეთ ჭაზრსა მისსა გაუძამდრობისა და მამონის  
თაყუანის-მცემლობისათვის, ვჭხოსოვთ მას, რათა შრომა მიიღოს და

უკეთ ჩასკდობ ამა წინადადებულსა სურათსა (კარტინასა) შინა მღუ-  
დელთ ცხოვრებისასა და ჭსთქუას: თანახმა-იქმნებოდამცა იგი, რათა  
იკისროს წარმოდგენილი მისდა სულს სამღუდელთა და მით დატვი-  
რთული ჭზოებდადამცა დროსა და შეძლებასა, რომ მოეფიქრა  
გახსნა და შენახვა სასოფლო შკოლებისა, თუნოვ გარეშისა შემწე-  
ობისა? უარყოფითი პასუხი მისი ამასკედ (არა ვარ თანახმა, ვერ  
შევიძლებ) დაამტკიცებს წინდაუხედავსა და უდროოსა მისის მხრით  
გამტყუნებასა მღუდელთასა; ხოლო დამტკიცებითის პასუხის (თანა-  
ხმა ვარ, შემიძლიან), შეწყნარება შეუძლებელია, უკეთუ არა განამა-  
რთლებს მას თვით საქმითა; გვიჩუწნოს უ. იოსელიანმა საკუთარი-  
თა მაგალითითა თვითთა, რომ უქონელს კაცს შეუძლიან, რომ  
თავის პირდაპირი თანამდებობაც წმინდად აღასრულოს, უნაკლებო-  
დაც გამოზარდოს თვისი სასლობა შრომითა ხელთა თვითთა და  
სასოფლო შკოლებიც გახსნას და შეინახოს ესენი საკუთარითა  
საფასითა. აქ ადგილი მივჭსტეთ საკუთარს შემთხუწვასაცა და თა-  
ნახმა ვიქმნეთ, რომე სოფლის სამღუდელთა შორის მოიპოებიან  
ისრეთნიცა, რომელნი დაუდგენიეს სკედრსა მათსა უმეტეს ბედნიე-  
რსა მდგომარეობასა შინა, ვიდრე ღარიბნი ძმანი მათნი; მაგრამ  
ბევრნი არიან ესრეთნი? მრთელს ეპარხიანში, შეიძლებაა ვიპოვოთ  
ორი ანუ სამი ეკსემპლარი (სამი მდიდარი მღუდელი), მაგრამ კერტ  
თუ ერთსა მათგანსა უბოვნით სიძლიდრესა, მიწაში დათლულ-  
სა, ანუ სარგებლით მიცემულსა სანდო ადგილებში, რეგორც მოუ-  
ფიქრებელად და სიცრუვით ჭსწამებს უ. იოსელიანი. სრული უწარ-  
ჩინებულესობა მათი უქონელთა მოძმეთა ზედა მასში მხოლოდ  
მდგომარებს, რომე იგინი უმეტეს ანუ უიჭირეს თავისუფალარნიან  
გალებისგან, აქუხთ დღიური ლუკმა, სტუმარს შეიუწანენ წმინდად  
დაცულს სახლში, უმასპინძლებენ მას კარგის გულით და პირით,  
იმოსებიან სასლობითურთ თვითთა შესახამად. გარნა შეძლება ესე  
არის ნყოფი არა თუ სიმრავლისა მრეკლითგან შემოსავლისა, არა-  
მედ უკიდურესისა დაზოგვილებისა და გრძელ-ჟამიერისა ნაკლებო-

ბის დათმენისა, ანუ არს ნაყოფი მშობელთა და ნათესავთა შემწყობისა და შემკვიდრეობისა, და ანუ, დასასრულ არს ნაყოფი მძიმეთა შრომათა, რომელთაგანაც არც ერთი მათგანი არ არის თავისუფალ, და რომ, ვითომც ამ მდიდარ მღუდლებს, უსათუძკლოდსა ჰსწრისადებრ ავტორისა, ჰქონდესთ მომეტებული გრომა და ხელთ ჰქონდესთ ღონისძიება სასოფლო მკოლების გახსნისა და შენახვისა მათისა საფასითა თხითა, ეს დაუჯერებელია და მოუაზრებელი.

ზეკით დაუტკეკთ დროებით ვითხუა ავტორისა ქრთამსუდ. მიზეზად ვითხვისა ამის გვაქუს ჩუწნ შემდგომი უკედრება მისი: „ქრთამი თუ არ მოგცათ ვაძმა, ისთუ არას გააკეთებთ თქუწნ (მღუდლები); კაცი ის არის ვინც მისხლობით არა ჰსწონს თავის შრომასა.“ მე არ მესმის თუ რას ეძახის უ. იოსელიანი ქრთამსა? თუ იმას, რომ მღუდელი თხითა სამწყობოთაგან იღებენ ჰურსა და ფულსა, ეს არის სასუიდელო შრომისა და არა ქრთამი, სასუიდელო მიჩემებული მათდა თუთ მოციქულისაგან: „უკეთუ ჩუწნ სულიერი დაჰსთესეთ თქუწნ შორის, დიდმე რა არსა თქუწნგან თუ სოციალური მოვიძკოთ ჩუწნ? უფალმან ბრძანა: „რომელნი იგი სახარებასა ახარებდენ, სახარებისაგან ცხოვრება მათი. ვინ დაახხის კენახი და ნაყოფისა მისგანი არა ჰსჭამის; ანუ ვინ მწყის ცხოვართა და სძისა მისგანი არა ჰსჭამის“ (ა კორინთ. 9, 11-17-9)? და თუ იოსელიანს მიაჩნია ქრთამად ჯამაგირი მთავრობისაგან, მაშინ ივიწყებს, რომ მთავრობა ქრთამს არავის აძლევს; აძლევს უკელას თავის ხელქუწმეთს, საცნაურთა შემთხუწვათა შინა მხოლოდ საფასესა, საზომისამებრ სახარებლობასა შრომისა მისისა. შემდგომ ამისსა რაღა განმარტება უნდა მივსტეთ უ. იოსელიანის მიერ შეწამებასა ქრთამისასა მღუდელთა ზედა? თუთ თავით თხით იგულისხმების, რომე სახელწოდება ამა ლადისა ნახტომისა ვერ მოიპოვება სხუასა კერასში, თუ არ განუსჯელობასა შინა მისსა. ნუ შევალთ უძორებს განმარტებაში; ვიკმაროთ მხოლოდ გულისხმისყოფა, რომ ლექსსა ქუწმე „ქრთამი“ უ. იოსელიანს წარმოუდგება საძაგელითა სახი-

თა ყოველი შრომა, დამოკიდებული სასყიდელისა ანუ ჯილდოს მოლოდინისა ზედა, და წინააღმდეგ მისსა თუალოთა შინა მისთა შეიმოსება სიწმიდითა და ღირს საქებულობითა მხოლოდ ის შრომა, რომელიც თავისუფალია ესრეთის მოლოდინისაგან, და შეძღვომი კვებითნათ მას: უსასყიდლოსა ამას შრომასა რაცხს იგი ვალად მხოლოდ სამღუდლოთა, ანუ თუ აჩქებს მას ყოველსა პატიოსანსა კაცსა საზოგადოდ და უკანასკნელს შემთხვევაში თუთცა ნამდვილად აღსრულებსა ვალსა მას? უკეთუ იგი გამოაცხადებს პასუხსა დამტკიცებითსა, რომ აღსრულებს, მაშინ უეჭველად გვიჩუქნებს ჩუქნს საბუთსადა თუხისა უსასყიდლოდ შრომისასა; და უკეთუ პასუხი მისი იქმნება უარყოფითი — ვერ ვასრულებო, მაშინ უთუოდ აგვისსნის მიზეზსადა დამაბრკოლებელსა: თუ — რისგამო ვერ ვასრულებს. სოლოაწ, ვინააღგან უჩინოა მიზეზი ესე, ამისთვის ჩუქნც, რასაკვირველია, არა გვაქვს საფუძუქლი ამ მიზეზზედ განვრცოლებულისა საუბარისა. და რადგანაც აქ მტკიცადი ადგილი, რომელსაც უნდა ეპყრო დარღვევა ამ მიზეზისა, შთება ცალიერად, ამისათვის, შესავსებად ამ ცალიერობისა, უკეთუ გვექმნება ნება, მოგიტხრობთ რასმე გაგონილსა, თუძცა სჯული გაგონილს არ ეწმუნება.

ერთმა თურძე წერილშვილმა და მასთან მეტად ღარიბმა დიახიქმა ძღუდლობა ითხოვა მთავრობისაგან; მაგრამ აღმოჩნდა, რომ გარკვანი წესი ძღუდლომქმედებისა ესმოდა თურძე კარგათ, მაგრამ არ იცოდა კატეხისმო და ამისა გამო წადილი მისი დამთა დაუკმაყოფილებლად, ვიდრე დასწავლიდის მტკიცედ სიმკოლონსა საწმუნოებისასა. მივიდა ტფილისის სასულიერო სემინარიის ეზოში და მოიკითხა მასწავლებელი. გამოხინდა მასწავლებლად მისა კატეხისმოდას სემინარიის მოწათუთაგანი; მაგრამ როგორ? იმოდენა თუხი ჭსთხოვა ჭსწავლებისათვის კატეხისმოდას, რომ უბედურძმან მან დიახიქმან კელარა მოიფიქრა რა, იქიდაძვე დაბრუნდა შინა უკიდურესითა შეძრწუნებითა, გამოეთხოვა საუკუნოდ განზრახულსა ძღუდლობასა და აქამოდე იტვირთავს იგი ჯუარსა თვისსა წუწი-

ლა შეილებით და ცოლით. მეორე შემთხვევა უფიქროსი კიდევ მსგავსი ამისი: მისვე სემინარიის ერთმა უზირველესთა მოწაფეთაგანმა, დასწავლა კატეხისმონი ერთს დიხოქსა, პატრიარქის კაცის შუამდგომელობითა, და შემდგომ თურმე წაესდა დროსა და შრომასა ამა ხაგანსად მოხმარებულსა, დაკარგულად, იტყოდა რა: „თუ მგონებოდა, რომ ასე ცოტას მომცემდა შრომისათვის, შიგან არ ხავასედები კატეხისმონიაო.“ მე მომყავს ეს მაგალითები, შესავსებულად ცალიერი ადგილისა, როგორც მოგასსენეთ, და არა იხე ვითომც დაწმუნებული ვიყო, რომ ამ მოწაფეებში, ერთში ანუ მეორეში, იოსელიანი იცნობს თავსა თვსსა, და ამისთვის არც გავასსენებ მას ბრძნულსა რჩევასა: „მკურნალო განიკურნე თავი შენი.“ დიერთმან დამიფაროს ამ ფიქრისაგან! როგორ არ უნდა მივხედუ, რომ ვინც სხუას უქადაგებს ქრისტის-მოქმედებასა, თუთ პირველი მისი მოქმე იქმნება, და რომე ვინაც აძრწუნებს შრომა, დამოკიდებული სათვისა ზედა, ის უთუოდ იქმნება ხაწმუნო წარმომადგინებელი უკუცხლოთა მკურნალოთა: კოსმასი და დამიანესი!.. გარდა-მოგვსცემ ამ მოთხრობასა ბოლოტოთ ენათსა იმა ხასობითა, რომე თუ ესეები გამართლდება, უ. იოსელიანი ეცდება, რომ მოქმენი თვსნი, მოწაფენი სემინარიისანი შეახვიოს უხასუიდლოსა შრომასა და მით თავისუფალ-ყელს იგინი, დროსა მღუდელობისა მათისასა იმა განკიცხუათაგან, რომლითაცა იგი დროის აწინდელ-თა მღუდელთა.

ზემორე აღუწესთქვი, რომ როდესაც სრულ-გვეყოთ ვითხუასა ქრთამის თვსებისასა, მაშინ დავათვსებ დირხებსაცა უ. იოსელიანის იდიასასა (ჰასრისასა) მღუდლების გაუმაძღრობასა და მამონის თაყუანის-მცემლობაზედ. გამოვიკრულევ რა იდიასა ამას, კვებებ მი-ზესსა მისსა იმაში, რომ მღუდელნი არა ხსნიან ხასოფლო შკო-ლებსა. და ამასთან ვიტოთ ვი, რომ შკოლები ესე უკრულ გახსნილ-არაინ რავდენტამე სოფლებთა შინა ქართლისა და კასეთისათა. ამა ჭკუმაძრიტებითა ირღვევა საფუძველი ჰასრისა გაუმაძღრობისა და

მამონის თაყუანის მცემლობისა. მეოთხობა მოხსენებულთა სასწავლებელთა გარდააკორკებს თუხის ადგილიდამ ლოდსა ფეხწარსაცემელსა და დაგვარწმუნებს, რომ, იქ, სადაც და ჩაოდენათაც მღუდლებს შესძლებიათ განკრცელება წერაკიისხვისა გლეს გაცების შვილთა შორის, არ დაუზოგაკოთ შეწირვა წუღილისა თუხისა, თუძცა მსხუტ-რული ესე, იქმნება, მოითხოვდა მათგან არა მცირედთა მათთუხ დაკლებათა. და თუ ამ გუარნი სასწავლებელნი ჟერეთ არ გახსნილან ყოველს სოფელში, მაშინ ამის მიზეზად არიან უძლეველნი დაბრკოლებანი, რომელნი ცხად იქმნენ უკიდურესად შეიწროებულსა მდგომარეობასა შინა სოფლის მღუდელთასა, რომელი მდგომარეობაც უემოკე გამოვჩინეთ სრულად კეთილ-სინიდიისანად. მაშა სადამე ჭარბი გაუმაძღრობისა და მამონის თაყუანის-მცემლობისა, გამომდინარე უქონლობისაგან სასწავლებელთასა, დაბადებულა იმისთანა თაჳში, რომელშიაც იდეანი აღმოსტენდებიან ეკრეთ, ვითარ აღმოსტენდების სოკო წვიმის შემდგომ, გარნა უძიროდ და უფესოდ, და მაშა სადამე ამა ხახითა, ესე იგი უძიროდ და უფესოდ, იდიანი იგი დირსებითა თუხითა არიან უდარეს სოკოსა. ამისთანა თაჳებისათუხ სიღრმესა და შინაგანსა არსებასა ნივთთასა არა აქუს არა ვითარ-მე თახი. სოლო ესრეთნი თაჳნი იმათ არა დირან, რომ დაიკარგოს მომეტებული დრო და სიტყვები სიწუღილით გამოკუჭლევასა ზედა ჰურობილისა მათ შინა ნივთიერებისასა, რომელსაც კეძახით „ტკინსა,“ რადგანაც ყოველივე, რაც გამომდინარებს მათგან ქალა-ლდზედ უშეკრია, სახსტილოა და უგუნური. და ამისათუხ, კვალად მივაქციოთ რა თხემსა ავტორისასა „სალობა და სიტყუვე მისი,“ მოკვეთოთ უგრძესი საუბარი გაუმაძღრობასა და მამონის თაყუანის-მცემლობასა ზედა და მიკვეტეთ ვითხუასა ამას: მხოლოდ წერითა და ვითხვით უნდა შემოზღუდვილ-ქმნეს გლესის შვილების აღზრდა, თუ სხუასაცა რასამე ითხოვს იგი?

ასე რომ მოხდეს, რომ უ. იოსელიანმა მიიღოს შრომა და უმახლობელესად განიხილოს ნამდვილი მდგომარეობა სოფლის

მღუდელთა და მანც კიდე არ დაჯეროს გული, რომ რასაც ის იმათა ჭსთხოვს, დიდად მძიმე ტვირთია მრავალთა მათგანთათჳს, თუ არ უკვლასთჳს, და დაგვიტვიტოს როგორც იყოს, რომ ტვირთი ესე არ აღემატების ძალთა მღუდელთათა და ამისთჳს მღუდლებს შეუძლიანთ და მოკალეტ არიან, რათა გახსნან შკოლები და ახწავლან გლეხის შვილებს წერა და კითხვა, თავიანთის სათვისითა, რომლითაც, მისის ჭაზრით, დაემყარება კეთილადღეობა მათი, მაშინ აი რასა ვჭსთხოვ, რომ გულდადებით მომიხმინოს: ვჭსთქუათ რომ მღუდელმა გლეხის შვილების სწავლება შეჩაღსა უმაღლესად თავის სახლობის მოკალეობისა; დაჭსთრგუნა გლეხების მსუბუქ-ჭაზროვანი ჭსჯაცა სწავლაზედ, შეაგონა და ითანსმა იგინი შვილების გაზრდის სარგებლობაზედ; მოიზოვა ღონისძიებაცა და იმოვა სასწავლებლის სახლი (რომელიც უ. იოსელიანი ჭაზრით უკვლას ეპკლესიას აქუხს და საქმით კი არც ერთს არა აქუხს, იმ სახლალაღინოში მანცა, რომელსაც ჩუჭუნ ვეკუთნით); მოიზოვა საკითხავი ანბანები, ქალაღები, მელანი და სხუა მიუტიღებელნი მატერიალები (მასაღები), ნუ თუ დარწმუნებულაა პატრიკ-ცემული ავტორი, რომ თუ ყრმა შეეჩვიას ასოების გარჩევასა და ისწავლას კითხუა და წერას თავისუფლად, მაშინ მიწკენიღ უკუჭ იქმნა ძალაღი, სამღთო ჭაზრი კეთილ-ჭაზრისა? უ. იოსელიანმა, იქმნება მოგუტეს დამტკიცებითი პასუხი: „სწორეთ, დიას, აგრეს“. ამ პასუხს ამიტომ გამოკინატავ ამ სახედ, რომ ავტორი აღარ ამბობს, რომ კითხვასა და წერას გარდა სხუა რამ კიდევ უფრო, ან ნაკლებ საჭირო იყოს გაზრდისათჳს. თუ ძართლას ის ჭკონებს, რომ გლეხის შვილებისათჳს წერისა და კითხვის მეტი არა არისრა, მაშ საცილობელი აღარ არის ბეტობა ესრეთის ჭურეტისა. უმთავრესი საგანი აღზრდისა ის არის რომ ყრმა იქმნეს სასარგებლო წევრად საზოგადოებისად; ხოლო ამისათჳს საკმაო არ არის სწავლება მხოლოდ წერისა და კითხვისა. რათამცა მიეტეს საზოგადოებასა სასარგებლო წევრი, ამისთჳს ითხოვებიან შემდგომნი პირობანი: საჭიროა, რათა ყრმაში აღარძნ-

დეს და აღუჭავდეს თესლოვნებითი მარცხელი ოსნობითისა და  
გარეგანისა მოსაქმეობისა, ანუ ქტევისა, რომელი მარცხელიცა ჭს-  
ძევს ბუნებასა შინა გაცისასა; ნაყოფ-მოხილ იქმნეს ცნობა კეთი-  
ლისა და ბოროტისა, ჭეშმარიტებისა და სიცრუვისა, კეთილის  
შრომის სასრებლობისა და მცონარების ვნებისა, კრძალულებისა,  
ზომიერებისა, უანგარობისა, სინიდისისა. თვნიერ ამათსა და მსგა-  
ვსთა ამათთა დასახამთა, ახვარეზი მხოფლით ცხოვრებისა კერ-  
ძოლოდების მოქმედსა წევრსა პრაკტიკულისა ანუ მოსაქმეობითისა.  
ცხოვრებისასა, რომელსამცა შექმლოს უზრუნველ ყოფა თვისსა  
საკუთრად კეთილ-დღეობისა და მხახულება სასარგებლო წევრად  
სახელმწიფოდასა, ანუ იმა საზოგადოებისა, რომელსა შინაცა უნდა  
განატაროს მან ცხოვრება თვისი. შემდგომ ამისსა უკეთუ ავტორი  
აღიარებს მიუცვილებლობასა, რათა ყრმათა შორის დაწერულ-ქმ-  
ნენ ზემო აღრიცხულნი კეთილნი დასაწყისნი, მაშინ უთუოდ  
მეთანხმება იმაზედაც, რომ უიმართოდ მარტო კითხვის სწავლა კერ-  
გამოიღებს სასურველსა ნაყოფსა და ან მიზანხებს: ოღონდც  
მღუდლებმა კითხუა ახწავლონ და უმაწვილები უკვლას კეთილს თი-  
თონ ამოკითხვენ წიგნებში და მიითვლებენ; ან ამას მეტყვის  
როცა მღუდლები კითხვას და წერას ახწავლიდენ, მაშინ უქადაგონ,  
რაცა ჭზოვონ სასარგებლოდ, და უმაწვილები უკვლას კარგათ შეიგო-  
ნებენ და დაიხსოვებენ. მოძღურობა ესე, შემოკლებელი მღუდლე-  
ბის შრომისა და თავისუფალ-ყოფელი მათი ზანხის გებისგან  
შედგომილებათათვის ბრძნად აღსრულებისა მისისა, რადცა მათდა  
ბრძანებულ იქმნება ამა მოძღურობითა, შესახებ ყრმათა და მოძავ-  
ლისა ცხოვრებისათვის უკანასკნელთასა საზოგადოებასა შინა, საკმაო  
იქმნება მღუდელთათვის. მაგრამ რა იქმნება ყრმათათვის და მიიუჭა-  
ნებიანა იგინი ამ მოკლე გზით იმა საჩინსადმდე განათლებისა,  
რომელზედაც სასურველი და მიუცვილებელია საზოგადოებისათვის  
მათი ნახვა, თუ არა, ეს ავტორმა იცის. არ შევალ განხილვაში  
თუ რა გზას შეუდგებიან გლეხის შვილები კითხვისა და წერის



დასრულების შემდგომ. ამას კი ვიტყვი, რომ კითხვისა და წერისა სწავლება არ მოითხოვს იმდენ დროს, რომ ეს დრო ეყოს მღუდელსა დამყარებისათვის ყრმათა შორის იმა მიდრეკილებათასა, რომელი მსოფლო არიან საფუძესწინი ჭეშმარიტისა სწავლისა და კეთილ-დღეობისანი, მეტადრე მამინ, რომელსაც მღუდელსა აქუს საქმე იმისთანა მოსწავლეობთან, რომელთაც, ესრეთ ვსთქვათ, დედის მუძუსთან შეუწოვნიათ ჭაზრნი უმეტესათა მშობელთა თვსთან, რომელი დაკარგულად რაცხვენ გლეხისათვის იმა დროსა, რომელსაც ისინი მოშორებულ-არიან ჩუქურლებისათვის საოჯახო ძირიკურის მუშაკობისაგან და რომე კითხვა და წერა მათთვის დიდად საჭირო არ არის.

მე ისე მხანს, რომ უწინარეს, ვიდრეღა უ. იოსელიანი ხელ-ჭყოფდა განკიცხვასა მღუდელთასა და აღბეჭკვასა მათსა ბეჭდითა მცონარებისა, სისარბისა და კვცხლის მოყუარებისათა, უძჯობეს იქმნებოდა, რათა პირველად გამოეკუთვნა გარემოებისანი მათნი. მამინ დაინახავდა სიძნელეთა მათ, რომელთაცა აქა წარმოდგენა გვიადულა მან; შეიკავებდა თავსა იმა სილაღისაგან, რომელთაცა იგი აღუთქვამს მათ აწინდელსა და მომავალსა ცხოვრებასა შინა უჯერ-როთა განკიცხვათა; თავისუფალ ჭყოფდა საფლავთა მათთა შებილ-წებისაგან; დაინახავდა იგი იმისაც, რომ მარტო კითხვა და წერა არ არის საკმარ თავ-დებობო ყრმათა კეთილ-დღეობისა და საზოგადოების მათგან სარგებლობისა; გვიჩუნებდა: თუ კითხვის და წერის გარდა, ვიდრე რა და რომელთა ღონისძიებითა უნდა ქმნან მღუდელთა, რათამცა მოსწავლე ყრმა იქმნას კაც-შინაგანი და კაცი გარეგანი.

მალიან სასურველია, რათა ესლა მაინც დაასრულონ მან გულს-მოდგინება თვისი სწავლებისათვის გლეხთ შვილებისა მით, რითაც უნდა დაეწეო; შემდგომ ადევნოს მან თუალ-ყური: თუ რომელს მღუდელთაგანს აქუს ნამდვილად ღონისძიება აღსაზრდელად გლეხის შვილებისა თვნიერ მიძიდ შეიწოვებისა თვისისა სახლობისა და

აწა სძარბებს იმა ღონისძიებათა ამა გუჟარსა კეთილსა საქმესა ზედა და სელ-დადებით გვიჩუქნოს ჩუქნ უღირსი ესე მუშაკი ქრისტეს კენახისა.

აწა უძვირესად საწადელმცა იყო ჩუქნთვს, რათა უ. ავტო-რი, ესე შესანიშნავი ანთრავი სასულიეროს სემინარიისა, მოძავალ-თა წარმოებათა შინა თვსისა კალმისათა უძეტეს ჳსდევდეს განონთა საზოგადოების ზრდილობისათა და აწა შეაგინებდეს შუქნიერ სიტუჟარობასა თვსსა გიობითითა ლექსებითა, რომელნიცა უძეტეს შეეფერებინ უბან-უბან მოტანტალეთა ბიჭბუჭებთა, კიდრე კეთილ-ადზრდილსა ჳბუყსა.

ამ სურვილით გამოკეთსოვებით ავტორსა ჩუქნის დაუვიწყარის პიიტეკოსის ლექსებითა.

„აწ რაცა გკადრე ამისთვს, ნუ თუ შენ იყო მჭმუნავი,“

„აქ უთქმელობა არ ვარგა, პირუტყვი არ ვარ მჭმუნავი.“ —

„მართლად უთქუამსთ შეცნიერთა, წყენათ ჳირთა ბადე“

„ესე გუჟარს ნუ ოდეს იქმ, საქმე სოლმე გაიტადე.“

(რუსთაველი). (\*)

სამთავრის მღუდელი ფილიმონ კარბელაძე.

---

(\*) უ. იოსელიანი, რომელსაც შეეხება ეს სტატია, განუმოწა სემინარიას და შევიდა მოსკოვის აკადემიაში; ამისთვს უეჭველია, რომ ამ სიტყვებს ის დიდ ხანს ვერ წაიკითხავს, და მ. ფილიმონ კარბელაძეს არ უნდა შეჩაცხოს დუმილი მისი ნიშნად ძლევისა მას ზედა.

რ ე დ.

## ოკდომბრის სვინაქსარი.

„სკედემბერი გავათავუ, ოკდომბერი ვიწყო ახლა,  
რადც წმინდანი ვახსენე, ძველათ იუჟენ, განა ახლა,  
წამებითა ერთობრივა, ღმერთმან უკელა განახლა,  
მე ცოდვილი მათის მადლით, სასუფეველს დამახალა.“

1. ღმერთის-მშობლის სათარგველია, ამ დღესვე სვეტი ცხოველი,
2. მოწამე კიპრიანე არს, მისგან ოხასა მოველი,
3. ამ დღესა დიონისიაცა, წინაჲმე ღმერთისა მთხოველი,
4. იეროთეოს მეწიოს, მასთან სხუნანიცა უოველი.
5. ხარიტონ არის მოწამე, გიორგი მიწამს დგომასა,
6. მოციქულის ხმა მეწიოს, გვერთ განმსილველის თომასა,
7. სერგის და ბაქოს მშველიან, ეძმაკთა უზემენ ერთომასა,
8. ხოლო დედა პელაგია, მიტეკებს ჩემსა ცთომასა.
9. მოციქული არს იაკობ, ანდრონიკეც მასთან არსა,
10. ეკლამზის და ეკლამზიას, ჩემს მეოხად დაუზარსა,
11. მოციქულსა ფილიპესა, თეოფანეს ურეკ კარსა,
12. პრობ, ტარასოს, ანდრონიკე, მიძღვიან მე მარჯვნივ მხარსა.
13. მოწამენი კარპ და პავლი, არიან ერთად კრებული,
14. ნაზარ, გერგას და პროტასი, კელასის-თანა ქებული,
15. ამ დღეს ევთიმი ახალი, და ლუკიანე შებული,
16. მოწამე ლონგინოს იყო, ჯვარცმასედ თანახლებული.
17. მიძღვის მოსე და ანდრია, კრიტიისა მამკენებელი,
18. ლუკა არს მასარებელი, ქუჭყინისა დამკენებელი,
19. იოელ და უაროსცა, მე მექმნენ მამკელბელი,
20. დიდი არტემი მექმნების, სულისა განმკურნებელი.

21. ამ დღესა არის მამისა, ილარიონის დიდისა,
22. ხსენება ამბერკისა, ეფესელთა ურმათა შვიდისა,
23. იაკობ მოციქულისა, მე შემწეობა მზრდიდისა,
24. აქა ხსენება არეთის, მოწამეობით მსხედისა.
25. მხურს ხსენება მოწამეთა, მარტიან და მარტვირისა,
26. ამ დღეს იწამა დიმიტრი, როდეს იყო ყაძი ძვირისა,
27. ნესტორს ვხადი მეოხათა, არ ჩამაგდოს გასაჭირისა,
28. სტეფან ტერენტ და ჯეონი, ეშმაკთ დაუყოფენ ჰირისა.
29. დღეს ამას აბრამ არს, ანასტასი რომელი,
30. ზინობ და ზინობიამა, გამოიპყრან ჩემდა ხელი,
31. მოციქულსა სტაქოს ვჰხადი, განმინათლოს გულის ბნელი,  
„ ამჟღიას და ეპიმასოს, შემწეობას მე მოკელი. (\*)

---

(\*) ამ ლექსების მწერალზედ მ. ჰარმენზედ მივიღეთ ჩუქნ გორის სობოროს დეკ. პანტელეიმონ წინამძღუაროვისაგან შემდგომი ისტორიული ცნობა: ყოვლად-პატროსანო მამარ გიორგი! თქუენ აგვხტოს წიგნში რომ ჰსწერთ და კითხულობთ პარ მენ მღუდელსა, ის განლდათ ჩემი უძოვროსი ძმა, უხნესი ჩემზედ ოცის წლითა, რომელიც დაიბარა მოსკოვს სქართუჭლოს დედოფალმან მარიაიმან—უგანახკელის მეფის გიორგის მეუღლემან 1813-სა წელსა, და იქვე მოსკოვს შერთო ცოლი და აკურთხებინა მღუდლად, 1816 სა. წელსა, მარტის 11-სა დღესა, თავის მოძღუწად დაადგინა, 1826 წ. სკუფია მიიღო, 1831-ს. წელსა-კამილაკა, 1840 სა წელსა აკურთხეს დეკანოზად, 1844 წელსა ჯუარნი მიიღო და იმყოფებოდა ქართულს სტამბაშიცა; გარდაიცუდა იქვე მოსკოვს 1846 წელსა. მისი მნებებელობა იყო რასაც შეთხზავდა ერთს ჰირს მე გამოიგზავნიდა და ჩემგანაც მოითხოვდა ჩემს შეთხზულსა, და ებ თორმეტის თთუხ სუნაქსარი მან გამოიგზავნა ლექსად ქმნილი და მე წარკუგზავნე საუფლო ლოცუა, რომელიც თქუენ

წარმოგიგზავნეთ დასაბეჭდავად, ათი მცნება და ანბანთ ქება ამოცანად ნათქვამი, რომლისაც მანზედ დაეწუნებინა ღომის ამოცანა ესე: „მე მინახავს საჭმელი რამ, სხუა საჭმელთან არ სადარი, მეუს შანა თუაღისასა მოსახარმომოხამზადარი, მეუჭესულადკე მოეკების, ვინ არს იმითი მადლარი, მენაკეთა კეთილ საგძალი, ჯარათათჳს ცუდი რამ არის.“ ეკ ჩუჭნი ქუჭუნის საჭმლის ძაგება არისო, ეთქვა მას, და სხუა კი სრულებით მოსწონებოდა. ძაგების შემდგომ 1833 წელსა მოწერა რაც მე შემითხზავს ან შენაო სრულებით ერთად დავსწერ, წიგნად შეკვრავ და წამოგიღებო; ის გარდაიცვალა და შემდგომ იმისი დანაშთენი მასკე წელსა მისმა სიდედრმა გამოგიგზავნა ერთი სახალნე დაბეჭდილი სკივრები და კლადიკაკვის ახლოს დამე დაესხენ ავაზაკნი, გატესეს სკივრი და წაიღეს ერთი სამურის ქურჭი, ერთი დუყინი ფარჩის ანათურა და ერთი დუყინი ფარჩის კაბა, კაბინეთის გულის ჯუარჩი რქონი და სხუაც მრავალნი წიგნები და ნივთნი. ადრეკე ფარჩით სია მივიღე და გასაღებები და მესამედიცა აღარ იყო, და ნივთების ნაცრულად შთაეყარათ რაღაყები და აგურები და ის ლექსების წიგნიც მაშინ დაიკარგა და იმ გაჩეხილადეს იქმნება ავაზაკთაგანმან ვინმე მისუიდა, თორემ ვინ მისცემდა. დეკ. ჰანტ. წინამძღუაროვი.“ მტირე ესე გარემოება გვიმტკიცებს, რომ უადთა ვითარებისაგინ მრავალნი თხზულებანი არიან დაკარგულნი საქართუჭლადი, და დმერთმან იცის ვის ხელში იპოებიან. . . . რედ.

## სიკუდილი.

უკელას ვხედავთ, აქ არ ვინ რჩება,  
ადრე თუ გვიან, მანდა გუდება.  
რაკი მოკუტები, რათ მინდა ფული,  
რა ამამძვრება, უეცრად სული.  
მანამ ვარ ცოცხალ, ღმერთს ვადადებ,  
და ცოდვს მუდამ, მე თავს ვარადებ.  
ჩემს სიცოცხლეში, ამას ვეცდები,  
არა ვის უყრ, მტრობა ებები.  
ეგრეთვე ცილი, არ ვის დაწამო,  
და ყოველ ვაცთან, პირ ნათლად ვიყო.  
რამ თავში მცემდნენ, ხმასაც არ ვაკტემ,  
ვეტუვი მადლობას, პატივსაც ვცემ.  
მე ამა ქტუვით, რა დამაკლდება,  
ვხედავ რამ უკელა, ერთ წამსა გუდება.  
რაკი მოკუტები, მე უბედური,  
რამ ჩამაწვენენ, შავსა მიწაში,  
არ გაიგონებს, კიცის ხმას ყური;  
სტუმრად ვყოფილ-ვარ, მაშ ამ სოფელში.  
